

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 56

ქალაქ ფოთი

„08“ აპრილი 2021 წელი

ერთი მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, გოჩა კურდღელიას სახით (შემდგომში - შემსყიდველი),

მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 12,

საიდენტიფიკაციო კოდი: № 215138143,

ტელეფონის ნომერი: 0 (493) 22 10 56,

საბანკო რეკვიზიტები: ხაზინის ერთიანი ანგარიში.

ბანკის კოდი: TRESGE22,

ანგარიშის ნომერი: GE 24 NB 0330100200165022.

და მეორე მხრივ, შპს „მ-პროექტი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა შიშინაშვილის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი),

მისამართი: ა.წერეთლის გამზირი N117დ კორპ. საოფისე ფართი N125,

საიდენტიფიკაციო კოდი: № 412710963,

ტელეფონის ნომერი: 551154035,

საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“,

ბანკის კოდი: TBCBGE22,

ანგარიშის ნომერი: GE35TB7970836080100006.

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 16¹ მუხლის პირველი პუნქტის, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (NAT 210003628) შედეგების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2021-2022 წლებში განსახორციელებელი, ქალაქის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის (რომელიც მოიცავს საავტომობილო გზის სამოსის, ტროტუარის, სანიაღვრე ქსელის (კიუვეტი), ხიდების, ხიდბოგირების რეაბილიტაცია/მოწყობას, ორმულების შეკეთებას) საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვას, ექსპერტიზით (შემდგომში ტექსტში - საპროექტო მომსახურება).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: 71300000-საინჟინრო მომსახურებები, 71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურებები.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 81595,84 (ოთხმოცდაერთათას ხუთასოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 84 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადა, ფორმა და ადგილი

1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით, საპროექტო მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება ექსპერტიზის მომსახურების ვადის ჩათვლით.

2. პროექტირებას დაქვემდებარებულ თითოეულ კონკრეტულ ობიექტზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების მიწოდების ვადები, მათ შორის აუცილებლობის შემთხვევაში მომსახურების მიწოდების ცალკეული ეტაპები და ეტაპების შესრულების ვადები განისაზღვრება დეტალური ტექნიკური დავალებით, რომელსაც მიმწოდებელს გადასცემს შემსყიდველი.

3. იმ შემთხვევაში, თუ დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ, თითოეულ ობიექტზე განსახორციელებელი სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს, სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, მუნიციპალიტეტისთვის წარდგენის ვადები განისაზღვრება არაუმეტეს 35 სამუშაო დღით.

4. იმ შემთხვევაში, თუ დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ, თითოეულ ობიექტზე განსახორციელებელი სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება ნაკლებია 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარზე, სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, მუნიციპალიტეტისთვის წარდგენის ვადები (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე გაცემული დადებითი ექსპერტიზის დასკვნის ჩათვლით) განისაზღვრება არაუმეტეს 22 სამუშაო დღით.

5. საჭირო შემთხვევაში, ცალკეული საპროექტო მომსახურების გაწევის ვადების კორექტირება დაიშვება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

5. მომსახურების გაწევის ადგილია: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი.

მუხლი 4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის პირობები

1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ მოითხოვება, ვინაიდან გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული წინადადების საბოლოო ფასი ნაკლებია 200 000 ლარზე.

2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2017 წლის 14 ივნისის, N 12 ბრძანების „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს 34-ე მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად, თუ გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული წინადადების საბოლოო ფასი ნაკლებია 200 000 ლარზე, დაუშვებელია პრეტენდენტს მოეთხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენა.

მუხლი 5. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება პროექტირებას დაქვემდებარებულ თითოეულ ობიექტზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის ხელმძღვანელი, რომელიც ხელს აწერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელით დადებული, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, ხელშეკრულების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებსა და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.

3. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტებზე, ხელს აწერს, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

მუხლი 6. ანგარიშსწორების წესი

1. ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

2. ყოველ კონკრეტულ ობიექტზე საპროექტო მომსახურების ღირებულება განისაზღვრება, მიმწოდებლის მიერ მუნიციპალიტეტისთვის გადაცემული დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების იმ პროცენტის ოდენობით, რომელიც მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში იქნება განსაზღვრული.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიმწოდებლისთვის პროექტირებას დაქვემდებარებულ თითოეულ ობიექტზე გადაცემული დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული, განსახორციელებელი სამუშაოების საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე (ექსპერტიზის დასკვნის მომზადების ღირებულება ანაზღაურდება მიმწოდებლის მიერ).

4. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი ორგანიზაცია აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასების (პროცენტების) შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ მომსახურების მოცულობათა შესრულებაზე და მის გადახდაზე.

5. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესასაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) გამოწერისა და გაწეული მომსახურების შესაბამისად, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 7. მომსახურების შესაბამისობა

1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული საპროექტო მომსახურება მიმწოდებლის მიერ უნდა შესრულდეს მიერ უნდა შესრულდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჯეროვნად, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში, დეტალური ტექნიკური დავალების შესაბამისად, რომელსაც მიმწოდებელს გადასცემს შემსყიდველი ორგანიზაცია.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული წესებიდან და ნორმებიდან მიმწოდებლის მხრიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს პროექტირებას დაქვემდებარებულ თითოეულ კონკრეტულ ობიექტზე, მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლისთვის გადაცემული დეტალური ტექნიკური დავალებითა და დასაპროექტებელი სამშენებლო ობიექტის შინაარსიდან გამომდინარე, ზოგადი ტექნიკური დავალებით (დანართი N 2) გათვალისწინებული პირობებისა და საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

ბ) 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გამოასწოროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში ან/და მისი დასრულების შემდგომ, ინსპექტირების შედეგად გამოთქმული შენიშვნები (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გამოვლენილი შეუსაბამობები ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტებთან და ტექნიკური დავალების მოთხოვნებთან) ან წარმოადგინოს მათზე არგუმენტირებული პასუხები.

გ) შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში უსასყიდლოდ განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა. მშენებლობის პერიოდში მოთხოვნის შემთხვევაში მივიდეს სამშენებლო ობიექტზე, უშუალოდ ადგილზე გაეცნოს და შეამოწმოს საუშაოების მიმდინარეობისა და პროექტის შესაბამისობა, მოახდინოს პროექტის კორექტირება და დროულად აღმოფხვრას მშენებლობის პროცესში გამოვლენილი - პროექტის ხარვეზები, ან შეცვალოს პროექტის ის ცალკეული ნაწილები რომლებიც საჭიროებს კორექტირებას. საჭიროების შემთხვევაში მოამზადოს საკორექტირო დოკუმენტაცია; პროექტის კორექტირების საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შესაბამისი მომსახურება (სახარჯთაღრიცხვო და საპროექტო დოკუმენტაციის მის მიერ კორექტირების გათვალისწინებით) განახორციელოს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა;

დ) მიმწოდებელი ვალდებულია უსასყიდლოდ გამოასწოროს ექსპერტიზის დასაბუთებული შენიშვნები და პროექტის შეთანხმების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები.

ე) ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდგომ, მიმწოდებლის მიერ ნაკისრი პროექტის საავტორო ზედამხედველობის და მისგან გამომდინარე ვალდებულებები რჩება ძალაში შესყიდული საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად შესრულებამდე.

ვ) საპროექტო ორგანიზაციამ საპროექტო ობიექტზე აზომვების წარმოებისას უზრუნველყოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის ჩართულობა (აგნობოს ვიზიტის განხორციელების შესახებ), ეტაპობრივად უნდა მიაწოდოს მომზადებული საპროექტო დოკუმენტაცია, რათა მოხდეს მისი განხილვა და შეთანხმება.

ზ) საპროექტო დოკუმენტაციის წინასწარი განხილვის აუცილებლობის შემთხვევაში, შემსყიდველის მხრიდან წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა განახორციელოს კონკრეტული მომენტისათვის, კონკრეტულ ობიექტზე არსებული დოკუმენტაციის კონსოლიდაცია და წარდგენა შემსყიდველისათვის.

თ) მუნიციპალიტეტის მხრიდან ერთდროულად არ მოხდება 5 პროექტზე მეტის დაკვეთა.

ი) საჭიროების შემთხვევაში საკვლევადიებო და საველე სამუშაოების განხორციელებამდე მინიმუმ 1 (ერთი) დღით ადრე აგნობოს შემსყიდველს, რომლებიც დაესწრებიან აღნიშნულ პროცესებს;

კ) მომსახურების გაწევის პროცესში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კონტროლის განმახორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი ასევე, წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება;

ლ) გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ქართულ ენაზე.

პროექტის ტექსტური ნაწილი უნდა იყოს „World“-ის ფორმატში, ბეჭდური ფორმით, „sylfaen“, ხარჯთაღრიცხვის ცხრილები – „Excel“ ფორმატში, ხოლო ნახაზები - „ArchiCAD“ (PLA) ან „AutoCAD“ DW

ფორმატში და „PDF“ ფორმატში. ამასთან თითოეული ფაილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 8 მბ-ს; საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ეგზემპლიარების რაოდენობა:

ა) საპროექტო დოკუმენტაცია _ 4 ეგზემპლიარი ბეჭდური (A-3);

ბ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია _ 4 ეგზემპლიარი ბეჭდური (A-4 ფორმატი);

გ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული ელექტრო (PDF და Excel ფაილები) ვერსია _ 4 CD/DWD დისკი;

დ) საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველ ორგანიზაციას საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სამუშაო ელექტრონული ფაილები (MS Word, Excel, AutoCAD, ArchiCAD და სხვა).

მ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აგნობოს მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

ნ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მუდმივად ჰყავდეს აყვანილი სპეციალისტების შემდეგი მინიმალური რაოდენობა:

- გუნდის ხელმძღვანელი - ინჟინერი, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილებით - 1 სპეციალისტი;

- საავტომობილო გზებისა მშენებლობის სპეციალისტი - სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილებით - 1 სპეციალისტი და 5 წლის გამოცდილებით - 2 სპეციალისტი;

- გეოლოგი - სპეციალობის მუშაობის, საინჟინრო-გეოლოგიური მომსახურებების გაწევის არანაკლებ 5 წლის გამოცდილებით - 1 სპეციალისტი;

- ხიდებისა და გვირაბების მშენებლობის სპეციალისტი - სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილებით - 1 სპეციალისტი;

- ჰიდროლოგი - ჰიდროლოგიური მომსახურებების გაწევის არანაკლებ 5 წლის გამოცდილებით - 1 სპეციალისტი;

- სპეციალისტი - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შედგენის არანაკლებ 5 წლის გამოცდილებით - 1 სპეციალისტი;

ო) მიმწოდებელსა და სპეციალისტს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადაც არ უნდა იყოს ნაკლები 2021 წლის 31 დეკემბრისა.

პ) საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების დროს უზრუნველყოს იმ სპეციალისტების წარმოდგენა, რომლებიც ჩამონათვალში არ არის გათვალისწინებული. დამატებითი სპეციალისტების შესახებ ინფორმაცია, მიმწოდებელმა შესათანხმებლად უნდა წარუდგინოს მუნიციპალიტეტს.

ჟ) საჭიროების შემთხვევაში მომსახურების დროულად დასრულების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ძირითადი სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა. ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთებული არგუმენტაციის საფუძველზე უზრუნველყოს სპეციალისტ(ებ)ის ჩანაცვლება სხვა უფრო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით.

რ) მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელს გადასცეს დეტალური ტექნიკური დავალება, რომელიც მოიცავს, მომსახურების გაწევის ვადებს, პროექტირებას დაქვემდებარებული ობიექტის დასახელებას, მის ადგილმდებარეობას, საპროექტო მომსახურების ძირითადი სახეობებს, პროექტით განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალს და მათ საორიენტაციო ღირებულებას;

გ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებითა და დეტალური ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს ხელშეკრულებით და დეტალური ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).

ბ) არ მიიღოს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლიანი გაწეული მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 9. კონტროლი (ინსპექტირება)

1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება), მოსაწოდებელი ან/და მოწოდებული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო განყოფილება.

2. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.

3. საპროექტო მომსახურების მიმდინარეობაზე შემსყიდველი ან/და ზედამხედველი კონტროლს (ინსპექტირებას) აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის, დეტალური ტექნიკური დავალებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვნად შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 11. პასუხისმგებლობა

1. მიმწოდებლის მიერ პროექტირებას დაქვემდებარებულ კონკრეტულ ობიექტზე მიღებული დეტალური ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ამ დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული სამუშაოების საორიენტაციო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

2. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

მუხლი 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების შესრულებისაგან.

3. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.

4. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, ცალმხრივად, წერილობითი ფორმით შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებითა და დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვალდებულებას;

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა) ან ხელშეკრულების ფაორმების შემდგომ, დაიწყო მიმწოდებლის ლიკვიდაციის პროცედურა;

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ე) ამოიწურა ხელშეკრულებაზე თანდართული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიით განსაზღვრული თანხა/ვადა და მიმწოდებელმა შემსყიდველს არ წარუდგინა ახალი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია;

ვ) პროექტირებას დაქვემდებარებულ კონკრეტულ ობიექტზე მიღებული დეტალური ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადა მიმწოდებლის მიერ დაირღვა და

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარდგენის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა შეადგენს 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეს;

ზ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება; თ) დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული გასაწევი მომსახურება სრულად გადასცა ქვეკონტრაქტორს;

ი) ინსპექტირების (ექსპერტიზის) პირველ ეტაპზე გამოთქმული შენიშვნები არ იქნება აღმოფხვრილი, აღმოფხვრილი იქნება არასრულფასოვნად ან შესწორებული იქნება ნორმატიულტექნიკური დოკუმენტების მოთხოვნების შეუსაბამოდ, რაც დაფიქსირდება ინსპექტირების ხელმეორე ანგარიშში;

კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული საფუძვლებით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

მუხლი 13. უფლებების გადაცემა

1. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

2. ხელშეკრულების ფარგლებში მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 14. შეტყობინება

1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, დეკემის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში - info.poti@poti.gov.ge ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 15. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რა დროსაც დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერა მხარეებთან (ერთი პირი - შემსყიდველთან და ერთი პირი - მიმწოდებელთან).

6. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

7. მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, ხარჯთაღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, ტექნიკური დავალება, საპროექტო დოკუმენტაციის განმარტებითი ბარათი, სპეციფიკაციები, ნახაზები, პროექტი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2022 წლის 21 თებერვლის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
გოჩა კურდღელია

მიმწოდებელი:

შპს „მ-პროექტი“

დირექტორი

ზაზა შიშინაშვილი

ფასების ცხრილი

N	შესასყიდი მომსახურების დასახელება	სამშენებლო სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება	საპროექტო მომსახურების ღირებულება (ლარი)	საპროექტო მომსახურების პროცენტი (%)
1	<p>ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2021-2022 წლებში განსახორციელებელი, ქალაქის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის (რომელიც მოიცავს საავტომობილო გზის სამოსის, ტროტუარის, სანიაღვრე ქსელის (კიუვეტი), ხიდების, ხიდბოგირების რეაბილიტაცია/მოწყობას , ორმულების შეკეთებას) საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შემენაექსპერტიზით.</p>	13558631.00	69,149.02	0.51

ზოგადი ტექნიკური დავალება

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2021-2022 წლებში განსახორციელებელი, ქალაქის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის (რომელიც მოიცავს საავტომობილო გზის სამოსის, ტროტუარის, სანიაღვრე ქსელის (კიუვეტი), ხიდების, ხიდბოგირების რეაბილიტაცია/მოწყობას, ორმულების შეკეთებას) საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შეძენა ექსპერტიზით

საპროექტო ობიექტის ფარგლებში უნდა მომზადდეს დეტალური საინჟინრო პროექტი, სადაც თანამედროვე მეთოდებისა და ტექნიკური მოთხოვნების გათვალისწინებით მიღწეული უნდა იქნას სამშენებლო ხარჯებისა და საექსპლუატაციო მაჩვენებლების ოპტიმალური კომბინაცია, ადგილობრივი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით.

საპროექტო ორგანიზაციამ დეტალური პროექტის შესრულებამდე უნდა შეათანხმოს დამკვეთთან ძირითადი საპროექტო გადაწყვეტები სათანადო დეტალებით, რათა პროექტის განხორციელებისას უზრუნველყოფილი იქნას მაღალი ხარისხის სტანდარტები და დანახარჯების ეფექტურობა.

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი უნდა მოიცავდეს სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკს, რომლითაც განისაზღვრება მშენებლობის მიახლოებითი ვადები;

ობიექტის სავარაუდო ღირებულების განმსაზღვრელი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა იყოს შედგენილი რესურსული მეთოდით (ჩაშლილი ექსელის ფაილში);

აუცილებლობის შემთხვევაში საკვლევაძიებო და საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტების საჭირო წინასწარი შეთანხმებები.

1. წინა საპროექტო საკვლევაძიებო სამუშაოების შემადგენლობა

1.1 საპროექტო ორგანიზაციამ მუშა პროექტის შედგენამდე უნდა წარმოადგინოს და დამკვეთთან შეათანხმოს საპროექტო გზის პარამეტრები ოპტიმალური ვარიანტი შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზით;

1.2 ტოპო გეოდეზიური სამუშაოების ჩატარება UTMWGS-84 კოორდინატთა სისტემაში საჯარო რეესტრის „GEO CORS“-ის ბაზების გამოყენებით. საძიებო ობიექტი უნდა აიგეგმოს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (აეროგადაღება, მისი არსებობის შემთხვევაში). დამუშავდეს ზედაპირის ციფრული მოდელი 1:1000 მასშტაბით, რომელშიც მოცემული იქნება თითოეული მახასიათებელი სეგმენტი. ასაგეგმი დერეფანის სიგანე განისაზღვროს ადგილზე, საჭიროების მიხედვით; განივი კვეთები საკმარის სიგანეზე უნდა გავრცელდეს, რათა მოიცვას გზის კიდეები და მონაკვეთები ვაკისის ფერდსა და მიმდებარე გრუნტს შორის. არასტაბილურ და პოტენციურად არასტაბილურ ზონებში განივმა ჭრილმა უნდა მოიცვას პრაქტიკულად დასაშვები ქანობის საზღვრები. ტოპოგადაღებამ უნდა აჩვენოს ყრილისა და ფერდების ქანობების, გზის საფარისა და გვერდულების, გზაჯვარედინების, გზისპირა დრენაჟების, სადრენაჟო კონსტრუქციების, ხიდების, არსებული კომუნიკაციების ხაზების, მილსადენების, საკანალიზაციო და სანიაღვრე კოლექტორების, საყრდენი კედლების, მდინარის სარეგულაციო კონსტრუქციების, უსაფრთხოების ზომების, საგზაო ნიშნების, ენერგო მატარებლების, ხეების, გამყოფი ღობეების, გზისპირა შენობებში შესასვლელების და ნებისმიერი სხვა საშუალებების პუნქტები, რომლებმაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის ფარგლებში მშენებლობის პროცესზე.

1.3 საძიებო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა და შესაბამისი დეტალური დასკვნის წარმოდგენა, სათანადო გრაფიკული ნახაზებით;

გეო-ტექნიკური, გრუნტის და გზის საფარის კვლევები-გზის საფარისა და შემადგენელი კონსტრუქციული ფენების კვლევა და მასალების გამოცდა, რაც თავის მხრივ მოიცავს: არსებული ასფალტობეტონის საფარის (იმ ადგილებში, სადაც იგი არსებობს) ნიმუშების ამოღება სათანადო ინტერვალებში და გამოცდა; გრუნტის სიღრმისეული კვლევა და გამოცდა შემოთავაზებული ხელოვნური ნაგებობების და სხვა კონსტრუქციების პროექტირებისათვის. გრუნტის სინჯების აღება სათანადო ინტერვალებში და გამოცდა, როგორც ეს საჭიროა პროექტირებისათვის საჭირო ამომავალი მონაცემებისათვის; მასალების სინჯების აღება და გამოცდა კარიერებიდან და ქვის სამტეხლოებიდან; აგრეთვე ნებისმიერი სხვა გრუნტების კვლევები და გამოცდა, რაც საჭიროა მუშა პროექტისათვის.

ამასთანავე, ზემოთაღნიშნული ნიმუშებისა და სინჯების აღება უნდა მოხდეს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენლის თანდასწრებით.

საპროექტო ორგანიზაციამ საჭიროებისამებრ უნდა განახორციელოს გრუნტის სიღრმისეული კვლევა, რათა განისაზღვროს ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, ასევე თანამედროვე საშიში გეოლოგიური პროცესები, როგორცაა მეწყერი, ზედაპირის დეფორმაცია, ბზარები და სხვა.

1.4 ზედაპირული წყლების მოცილების ღონისძიებების შესწავლა და ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში ჰიდროლოგიური კვლევის ჩატარება და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა;

1.5 საპროექტო ორგანიზაცია ვალდებულია გაითვალისწინოს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგის მინიმუმამდე დაყვანა. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში გაითვალისწინოს მწვანე ნარგავის სახეობის და დიამეტრის მიხედვით აღდგენითი ღირებულება ან/და მწვანე ნარგავების ამოღება-გადარგვა საჭიროების შემთხვევაში;

2. საპროექტო მომსახურების მოცულობა

2.1 საპროექტო ორგანიზაციამ მუშა პროექტი უნდა შეადგინოს მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და სტანდარტების სრული დაცვით.

გეომეტრიული პროექტირება - მუშა პროექტის სქემა დაეფუძნება ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის დროს შემუშავებულ სქემას, რომელიც შეთანხმებული იქნება დამკვეთთან. შესაძლოა ცვლილებების შეტანა გეომეტრიული მახასიათებლებისა და ღირებულების გაუმჯობესებისა და ოპტიმალიზაციისთვის, იქ სადაც პრაქტიკულად და საჭიროდ ჩაითვლება.

გზის დეტალურმა პროფილმა უნდა ასახოს ახალი საფარის სტრუქტურა, გზის ვაკისი და საფუძველი. გზის განივი კვეთი შესაბამისობაში უნდა იყოს მიღებულ საპროექტო სტანდარტებთან.

2.2 განმარტებითი ბარათი უნდა შეიცავდეს:

ობიექტის არსებული მდგომარეობის დეტალურ აღწერას, არსებული გზების ძირითად მაჩვენებლებს, რომლებიც ასახავენ გზის არსებულ პარამეტრებს და მის მდგომარეობას, გზის და ხელოვნური ნაგებობების აღწერას, საპროექტო გადაწყვეტილებებს, არსებულ გზაზე საპროექტო კვანძების ადგილმდებარეობას და ფორმას სათანადო დასაბუთებით, შესასრულებელ სამუშაოთა მოკლე აღწერას და სხვა;

2.3 სიტუაციური გეგმები (რეპერების კოორდინატების მითითება);

2.4 სქემატური ნახაზები და კონსტრუქციული დეტალები (საჭიროების მიხედვით);

2.5 განივი პროფილები, გადაღებული ყოველ 10 მ-ში (გამონაკლის შემთხვევებში-ყოველ 5მ-ში) და მახასიათებელ წერტილებში უნდა შეიცავდეს: საპროექტო, მიწის და მუშა ნიშნულებს, მანძილებს მახასიათებელ წერტილებს შორის, განივი ქანობების გრაფიკულ ასახვას რიცხობრივ მაჩვენებელთან ერთად, მიმდებარე სიტუაციას. განივებზე საჭიროების შემთხვევაში დატანილი უნდა იყოს საპროექტო და არსებული ხელოვნური ნაგებობების პარამეტრები;

2.6 გრძივი პროფილები გზის ღერძის გასწვრივ, უნდა შეიცავდეს: საპროექტო (წითელ), მიწის (შავ) და მუშა ნიშნულებს, პიკეტაჟს და მანძილებს მახასიათებელ წერტილებს შორის, გრძივი ქანობების, ვერტიკალური და ჰორიზონტალური მრუდების გრაფიკულ ასახვას რიცხობრივ მაჩვენებელთან ერთად, აგრეთვე დატანილი უნდა იყოს საპროექტო და არსებული ხელოვნური ნაგებობების პარამეტრები;

2.7 საჭიროების შემთხვევაში მოსაწყობი კომუნიკაციების (მ.შ.სანიაღვრე და კანალიზაცია, ასევე განათების ქსელი) და ხელოვნური ნაგებობის (მიწები, საყრდენი კედლები, და ა.შ.) მუშა ნახაზები (გეგმები, ჭრილები, დეტალები, სპეციფიკები და სხვა) და ანგარიშები;

2.8 მუშა უწყისები, მათ შორის:

2.8.1 საპიკეტო უწყისები;

2.8.2 მოხვევის კუთხეების, სწორებისა და მრუდების უწყისი, რეპერების დამაგრების უწყისი, გზის საპროექტო ზედაპირის დაკვალვის უწყისი;

2.9. კრებსითი უწყისები მასალების, საგზაო სამოსის ფართების, საკომუნიკაციო ჭების, მეორადი შესაძლო გამოსაყენებელი მასალა-ნაკეთობების, ელექტროგადამცემი ხაზების, წყალსადენების, კავშირგაბმულობის გადატანის და სხვა უწყისები, სადაც გარკვევით უნდა იყოს ასახული თითოეული სამუშაოს ზუსტი მოცულობა (მათი არსებობის შესაბამისად).

2.10 უსაფრთხო მოძრაობის ორგანიზაციის პროექტის შედგენა (საგზაო ნიშნები, ჰორიზონტალური და ვერტიკალური მონიშვნა, მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების ჩვენება და სხვა);

2.11 შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ეტაპებად დაყოფა;

2.12 მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (დეფექტური აქტი, ლოკალური ხარჯთაღრიცხვა, კრებსითი ხარჯთაღრიცხვა) შედგენა საბაზრო ფასებით და რესურსული მეთოდით, მოქმედი სამშენებლო ნორმების დაწესების შესაბამისად.

2.13 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი (მ.შ. სამუშაოთა შესრულების ტექნოლოგიური სქემები, კალენდარული გრაფიკები, მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალი, შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები და სხვა);

2.14 მშენებლობის პერიოდში სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი სქემის მომზადება და აუცილებლობის შემთხვევაში შეთანხმება შესაბამის სამსახურებთან;

2.15 სრული საპროექტო დოკუმენტაციის დაკომპლექტება და წარმოდგენა, სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ქართულ ენაზე.

პროექტის ტექსტური ნაწილი უნდა იყოს „World“-ის ფორმატში, ბეჭდური ფორმით, „sylfaen“, ხარჯთაღრიცხვის ცხრილები – „Excel“ ფორმატში, ხოლო ნახაზები – „ArchiCAD“ (PLA) ან „AutoCAD“ DW ფორმატში და „PDF“ ფორმატში. ამასთან თითოეული ფაილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 8 მბ-ს; საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ეგზემპლიარების რაოდენობა:

ა) საპროექტო დოკუმენტაცია – 4 ეგზემპლიარი ბეჭდური (A-3);

ბ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია – 4 ეგზემპლიარი ბეჭდური (A-4 ფორმატი);

გ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული ელექტრო (PDF და Excel ფაილები) ვერსია – 4 CD/DWD დისკი;

დ) საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველ ორგანიზაციას საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სამუშაო ელექტრონული ფაილები (MS Word, Excel, AutoCAD, ArchiCAD და სხვა).

2.16 ნახაზები წარმოდგენილი უნდა იქნას იოლად აღქმადი მასშტაბის მიხედვით.

3.სხვა მოთხოვნები

3.1 საპროექტო დოკუმენტაციაში გათვალისწინებული უნდა იყოს სამუშაოთა ეტაპობრივი შესრულება. გზის სამოსის ტიპები, აგრეთვე ხელოვნური ნაგებობების და სხვათა მოწყობის საპროექტო გადაწყვეტები და სხვა საკითხები შეთანხმებული უნდა იქნას დამკვეთთან;

3.2 საპროექტო გზისთვის მიმწოდებელმა უნდა შეადგინოს გარემოს დაცვის გეგმა და წარმოადგინოს განმარტებითი ბარათის შემადგენელი ნაწილის სახით;

3.3 ტექნიკური დავალებით გაუთვალისწინებელი გარემოების საპროექტო დოკუმენტაციაში შეტანა ან შემდგომში საჭირო ცვლილებების განხორციელება დამკვეთთან შეთანხმებით;

3.4 სხვა დამატებითი აუცილებელი ჩასატარებელი სამუშაოები, ობიექტის ადგილზე შესწავლის შემდეგ, საპროექტო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს მის წინადადებაში.

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქალაქ ფოთი

„08“ აპრილი, 2021 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია ვადასტურებ, რომ შპს „მ-პროექტი“-სთან არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
გოჩა კურდღელია